# საქართველო
# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 289/26

„27" 08 2013

№53.

04.09.2013

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს
მის.: ქ. თბილისი, რაზმაძის ქ. №15

ბატონო სერგი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი 2013 წლის 19 აგვისტოს №123 წერილი (სარეგისტრაციო ნომერი №167/25, 19.08.2013), რითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციას - რამდენი დასკვნა (ანგარიში) იქნა გადაგზავნილი სამართალდამცავ ორგანოებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2012 წელს.

პასუხად გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2012 წელს ჩატარებულ აუდიტებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადაგზავნილ იქნა შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის" წინასწარი აუდიტის მასალები;
2. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აუდიტის მასალები - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან (შენობის დემონტაჟი) დაკავშირებით;
3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მასალები;
4. შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს" ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მასალები;
5. შუახევის მუნიციპალიტეტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მასალები;
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში „ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის" 2008 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე პერიოდის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში;
7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 2010-2011 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის აქტი;
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის ფინანსური აუდიტის შუალედური აქტი;

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის აქტი;

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის აქტი;

11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ლევან ლობჟანიძე